სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ეთნოლოგია

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი: ასოცირებული პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი
პროგრამის დახასიათება:

მიზანი პროგრამა მიზნად ისახავს სამეცნიერო წინსვლის საშუალება მისცეს იმ ახალგაზრდა მკვლევარებს, რომელთაც დასრულებული ან დასრულების პროცესში აქვთ სადისერტაციო ნაშრომი, ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმით გათვალისწინებული საგნები, მუშაობდნენ ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლეს დისერტაციის საჯარო განხილვაზე წარდგენა.

შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:
ეცოდინება ეთნოლოგიის ძირითადი პრობლემები და განვითარების ტენდენციები, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფაქტებისა და მოვლენების გააზრებას შესაბამის სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში. ამ ცოდნას იგი იყენებს სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში.

პრაქტიკული უნარები:
საკვლევი და ასათვისებელი მასალის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, საკითხის იდენტიფიცირება, მასალის მოძიება, სისტემატიზაცია, ემპირიული და თეორიული მასალის შეჯერება, კვლევის შედეგების პრეზენტაცია ზეპირი და წერილობითი ფორმით.

დოქტორანტი ისწავლის კვლევის და წყაროების წაკითხვის პრაქტიკულ მეთოდებს, შეიძენს ახალ სამეცნიერო უნარებს. გამოუმუშავდება კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი. ის ღრმად ჩაწვდება არა მარტო საქართველოს ისტორიის, არამედ მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ საქართველოს ეკლესიის და კულტურის პრობლემებს; მის მიერ შექმნილი საკვალიფიკაციო ნაშრომი მიღებული თეორიული ცოდნისა და უნარების პრაქტიკული დადასტურება იქნება.

ტრანსფერული უნარები:
წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა დოქტორანტს სამეცნიერო და სასწავლო პროცესში მონაწილეობის, პროფესორის ასისტენტობის საფუძველს აძლევს. დოქტორანტი განიმტკიცებს დროის დაგეგმვისა და ორგანიზების, სამუშაოს დაგეგმვის, პრიორიტეტების გამოყოფის, აუდიტორიასტან ურთიერთობის უნარს.
თეორიული და პრაქტიკული სწავლების შედეგად, დოქტორანტი შეიძენს საჯარო ლექციის წაკითხვის უნარს, ისწავლის სწორ და ლოგიკურ მეტყველებას და აზროვნებას, ინდივიდუალური მუშაობის უნარს, პრობლემების დასმის და გადაჭრის უნარს.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების სავარაუდო წინაპირობები: სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველები უნდა იყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ან ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი ასპირანტები ან სამეცნიერო ხარისხის მაძიებლები ეთნოლოგიის სპეციალობით.

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის

შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

განსაკუთრებული პირობები: სტატიაზე უარყოფითი რეცენზიის მიღების შემთხვევაში დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ახალი სტატია

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: პროგრამის დოქტორანტებისთვის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სთავაზობს თსუ ჰუმანიტარული ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტეს ეთნოლოგიის დეპარტამენტი.

მიუთითეთ, რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი და/ან სასურველი ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე: ერთიდან რვამდე

პროგრამაში ჩართული პროფესორები:

1. ქეთევან ხუციშვილი
2. როლანდ თოფჩიშვილი
3. სოსო ჭანტურიშვილი